



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო  
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე  
ოქმი № 6 “ 7 “ სექტემბერი 2017 წ.  
ბრძ. №01-01/59 “ 8 “ სექტემბერი 2017 წ.

რექტორი

გიორგი მათიაშვილი

სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები

2017-2023

## პრეამბულა

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი იცავს სტუდენტთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, უქმნის მათ უსაფრთხო გარემოს, მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს და სხვადასხვა სახის მხარდაჭერის სერვისებს ხარისხიანი განათლების მისაღებად. ზრუნავს სტუდენტური პროექტების განხორციელებაზე და მათი კარიერული განვითარების ხელშეწყობაზე. წინამდებარე წესი შემუშავებულია ამ ამოცანების რეალიზაციის მიზნებისათვის.

სტუდენტთა მხარდაჭერისა და საკონსულტაციო მომსახურებისათვის გთუნში შექმნილია სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილება და შემუშავებულია აკადემიური პროგრამების კონსულტაციის (ტუტორიალის) განხორციელების წესი.

### **მუხლი 1. სტუდენტთა მატერიალურ-ტექნიკური სერვისებით უზრუნველყოფა**

1.1 გთუნი უზრუნველყოფს სტუდენტებს სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური სერვისებით, რაც გულისხმობს:

- უსაფრთხო და დაცულ შენობებს;
- უსაფრთხო და დაცულ ეზო-გარემოს;
- „მწვანე“ გარემოს;
- რეკრეაციული ადგილების არსებობას;
- სტუდენტთა ჯგუფური მუშაობისთვის სივრცეების არსებობას;
- 24-საათიან განათებას;
- შენობის ნორმალური ტემპერატურით უზრუნველყოფას სეზონების მიხედვით;
- ნათელ, ვრცელ მულტი-მედია პროექტორებით და ავეჯით აღჭურვილ აუდიტორიებს;
- კომფორტულ თანამედროვე ბიბლიოთეკას, განთავსებულს ცალკე შენობაში, უზრუნველყოფილს მდიდარი ბეჭდური და ელექტრონული რესურსებით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით;
- ახალი ტექნიკით, კომფორტული ავეჯით, კონდიციონერების სისტემით აღჭურვილ დიდ (250 კვ) და მცირე (50 კვ) სააქტო დარბაზებს სასწავლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი ღონისძიებებისათვის;
- ახალი ტექნიკით, კომფორტული ავეჯით, კონდიციონერების სისტემით აღჭურვილ სასწავლო კომპიუტერულ კლასებს, სასამართლო კლინიკას, სასწავლო ტურისტულ სააგენტოს, სასწავლო ბანკს, სასწავლო კონსალტინგის ცენტრს; სასწავლო კრიმინალისტიკის ლაბორატორიას, ტელე-რადიო ლაბორატორიას;
- უახლესი ტექნიკით აღჭურვილ ტრენინგისა და კონსალტინგის ცენტრს „GT TCC“;
- გარკვეული ხარისხით ადაპტირებულ გარემოს შშმ პირთათვის;
- პირველად სამედიცინო მომსახურებას;
- მთელი საუნივერსიტეტო სივრცის სისუფთავის დაცვას;
- მოწესრიგებულ სველ წერტილებს, წყლის უწყვეტი მიწოდებით;
- დაცულ ავტოსადგომს;
- საკუთარი ავტობუსებით სტუდენტთა უნივერსიტეტამდე უფასო ტრანსფერს;
- სტადიონს სპორტულ-გასართობი ღონისძიებებისათვის;
- კაფეტერიას, კვების ჯანსაღი პროდუქტებით.

1.2. გთუნი მოწოდებულია სისტემატურად იზრუნოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაუმჯობესებასა და გამრავაფეროვნებაზე.

### **მუხლი 2. ფინანსური მხარდაჭერა**

2.1. გთუნიში მოქმედებს სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სისტემა;

2.2. გთუნი ითვალისწინებს სტუდენტის განცხადებებს სწავლის საფასურის გადახდის გადავადების თაობაზე;

2.3. გარკვეული კატეგორიის სტუდენტებს გთუნი სტუდენტებს სთავაზობს ფინანსურ შეღავათებს, კერძოდ:

- სტუდენტები, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე პრიორიტეტს მიანიჭებენ და ჩაირიცხებიან უნივერსიტეტში, ერთი წლის განმავლობაში ისარგებლებენ შიდა დაფინანსებით: I - II პრიორიტეტი - 10%-იანი თანადაფინანსება;
- უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტები, რომლებმაც სკოლა დაამთავრეს წარჩინებით, ერთი სემესტრის განმავლობაში მიიღებენ სტიპენდიას: ოქროს მედალოსნები - 100 ლარი; ვერცხლის მედალოსნები - 80 ლარი;
- სტუდენტები, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიიღებენ სახელმწიფო გრანტს და პრიორიტეტს მიანიჭებენ/ჩაირიცხებიან უნივერსიტეტში, ისარგებლებენ შიდა დაფინანსებით: 50%-იანი სახელმწიფო გრანტის შემთხვევაში - თანადაფინანსება დარჩენილი თანხის 50%-ით; 70%-იანი სახელმწიფო გრანტის შემთხვევაში - თანადაფინანსება დარჩენილი თანხის 30%-ით;
- 100%-იანი გრანტის მოპოვების შემთხვევაში სტუდენტები ერთი სემესტრის განმავლობაში მიიღებენ სტიპენდიას 100 ლარს;
- სტუდენტები, რომლებიც სამი წლის განმავლობაში წარჩინებით დაასრულებენ სწავლას და იქნებიან სტიპენდიანტები, მეოთხე წელს გათავისუფლდებიან სწავლის გადასახადისაგან;
- უნივერსიტეტში ერთდროულად სწავლის პერიოდში დედამამიშვილები ისარგებლებენ თითოეულზე 10%-იანი თანადაფინანსებით;
- საქართველოს სახელმწიფო შემოქმედებითი კოლექტივებისა და ეროვნული სპორტული ნაკრების წევრები, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, ისარგებლებენ 20%-ნი თანადაფინანსებით;
- ერთი სკოლიდან ჩარიცხულები, უნივერსიტეტში ერთდროულად სწავლის პერიოდში, ისარგებლებენ შეღავათით დათითოეულს სწავლის საფასური შეუმცირდება 2000 ლარამდე;
- უმაღლესი შეფასების მქონე სტუდენტებს დაენიშნებათ ყოველთვიური სტიპენდია, სემესტრის შედეგების გათვალისწინებით, ერთი სემესტრის განმავლობაში.

### **მუხლი 3. სტუდენტთა პროფესიული და კარიერული მხარდაჭერა**

3.1. სტუდენტთა პროფესიული და კარიერული მხარდაჭერის უზრუნველყოფისთვის შექმნილია სტუდენტებთან და კურსდამამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილება რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს ფაკულტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რაც გულისხმობს:

- გთუნის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურება;
- გთუნის სტუდენტთა სასწავლო, სამეცნიერო, კულტურული, შემეცნებითი, სპორტული, საქველმოქმედო საქმიანობის პოპულარიზაცია, ორგანიზება და განხორციელება;

- სუნივერსიტეტო სპორტული გუნდების, მუსიკალური ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების შესახებ სტუდენტთა ინიციატივების წარდგენა, მათი რეალიზაციისთვის ხელშეწყობა და საქმიანობის კოორდინაცია;
- საუნივერსიტეტო სპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტის პოპულარიზაცია, სპორტული ღონისძიებების ორგანიზება და/ან სასწავლო უნივერსიტეტის სახელით რესპუბლიკურ, რეგიონულ, საქალაქო და სხვა მასშტაბის ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა;
- საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე სხვადასხვა კონკურსების, პროექტების, პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და სტუდენტებს შორის გავრცელება;
- სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა მათი ინფორმირებით დასაქმების ბაზარზე არსებული მდგომარეობის, გამოცხადებული ვაკანსიების, დასაქმების ფორუმების, გამოფენების და სხვა ღონისძიებების შესახებ;
- სტუდენტთა დახმარება საკუთარი განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვასა და დამსაქმებლებთან ურთიერთობაში;
- შეზღუდული შესაძლებლობების სტუდენტთა მხარდაჭერა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მათი ინტეგრირების მიზნით;
- ფაკულტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობით სტუდენტთა გამოკითხვის ორგანიზება, მათი მოლოდინების, პრობლემების, წინადადებების, მოსაზრებების ანალიზის მიზნით. ანალიზის შედეგების ხელმძღვანელებთან წარდგენა შემდგომი რეაგირებისათვის;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მიზნით სტუდენტთა კანონით დაშვებული მონაცემთა ბაზის შექმნა (სპეციალური საჭიროებების სტუდენტები, ფეხმძიმე სტუდენტები, სტუდენტი მცირეწლოვანი შვილით/შვილებით, უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ შექმნილი ოჯახები, წარჩინებული სტუდენტები, სტუდენტები, რომლებიც სწავლობდნენ საზღვარგარეთ და სხვა), მისი მუდმივი განახლება. ინფორმაციის მიწოდება ხელმძღვანელობისათვის მასზე შემდგომი რეაგირების მიზნით;
- უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების, ღონისძიებებისა და სიახლეების შესახებ კურსდამთავრებულთა ინფორმირება მათი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში აქტიური ჩართვის მიზნით.
- კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა სხვადასხვა თემატური შეხვედრების ორგანიზება;
- კურსდამთავრებულთა ასოციაციის ჩამოყალიბება და საქმიანობის კოორდინირება.

### **მუხლი 3. სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერა**

3.1. სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის მიზნით შემუშავებულია აკადემიური პროგრამების კონსულტაციის (ტუტორიალის) განხორციელების წესი (ბრძანება № 01-01/30 "23" მაისი 2012 წ.შეტანილი ცვლილება 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება № 01-01/84 ), რომლის თანახმად:

- სასწავლო პროცესის ორგანიზების სრულყოფის, საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სწორად ორიენტირების, სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის პროცესის ხელშეწყობისა და მათი სასწავლო, სამეცნიერო და შემოქმედებით მუშაობაში აქტიური ჩაბმის მიზნით იქმნება აკადემიური პროგრამების კონსულტანტების (ტუტორების) ჯგუფი;

- აკადემიური პროგრამების კონსულტანტები (ტუტორები) თავის საქმიანობას წარმართავენ უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიისა და მოქმედი წესების შესაბამისად;
- სტუდენტთა აკადემიური კონსულტანტების (ტუტორების) ფუნქციას ახორციელებენ უნივერსიტეტის მოქმედი კათედრების და/ან პროგრამული მიმართულებების ხელმძღვანელები, აგრეთვე, ფაკულტეტების მიერ შერჩეული სხვა თანამშრომლები (აკადემიური ხარისხის მქონე პირები ან დოქტორანტები), რომელნიც კომპეტენტურნი არიან სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში და აქვთ სტუდენტებთან მუშაობის სათანადო გამოცდილება;

3.2. კონსულტაციების (ტუტორიალის) ამოცანებია:

- სტუდენტის მართებულად ორიენტირება საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- სტუდენტის მიერ სწავლის პროცესის დაგეგმვის, წარმართვისა და ინტელექტუალური განვითარებისათვის ხელშეწყობა;
- სტუდენტის მიზანმიმართული ჩართვა სასწავლო პროცესში;
- სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება და დამუშავება;
- ყოველი სემესტრის დასაწყისში სტუდენტებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებისა და პრეზენტაციების მოწყობა;
- სტუდენტებისათვის დახმარების აღმოჩენა ინდივიდუალური ცხრილის ფორმირებისას;
- კონსულტაცია შეთავაზებული სასწავლო კურსების სტატუსთან და მათი არჩევის რიგითობასთან დაკავშირებით;
- სასწავლო კურსების შერჩევა მათი პროგრამული და შინაარსობრივი თავსებადობისა და სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით;

3.3. კონსულტაციების ამოცანები სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით:

- ინფორმაციის მიწოდება:
- აკადემიური რეგისტრაციის პროცედურის შესახებ;
- საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, სწავლა-სწავლების მეთოდების და სხვა შესახებ;
- საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების, მათში მონაწილეობის, დოკუმენტაციის მომზადების და სხვა პროცედურების შესახებ;
- სავალდებულო, არჩევითი და თავისუფალი კრედიტების, სემესტრის განმავლობაში შესასრულებელი კრედიტების ზღვრული ოდენობის, კონკრეტული სასწავლო დისციპლინისათვის მინიჭებული კრედიტის შესახებ;
- შეფასების სისტემის შესახებ;
- აკადემიურ პროცესთან დაკავშირებულ სხვა საუნივერსიტეტო წესებისა და რეგულაციების შესახებ;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების სასწავლო პროცესში ადაპტირებისათვის ხელშეწყობა;
- უცხოელი სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირების უზრუნველყოფა;
- ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში ინტეგრირების ხელშეწყობა.

#### მუხლი 4. სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა - ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

- 4.1. გთუნი ითვალისწინებს ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, როგორშიც განსხვავებული მოთხოვნების და სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტი, მიუხედავად მისი სოციალური, ეთნიკური, კულტურული კუთვნილებისა თუ ინდივიდუალური მახასიათებლისა, მოტივაციის, უნარის, სწავლის სტილისა და რიტმის განსხვავებულობისა, მიიღებს ხარისხიან განათლებას, მათთან ინდივიდუალური მუშაობით და შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.
- 4.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა: ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით გთუნი უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში;
- 4.3. სტუდენტთა განსახვავებული მოთხოვნებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აერთიანებს სასწავლო პროცესის ინდივიდუალურად წარმართვის საკითხებს, კერძოდ:
- დროის დაგეგმვას;
  - კურსის განხორციელების თავისებურებებს ;
  - შეფასების ადეკვატურობას;
  - შეფასების პერიოდულობას;
  - კონსულტირების ვადებს;
  - და სხვა
- 4.4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მოსარგებლე მიზნობრივი ჯგუფი შეიძლება იყოს :
- სხვადასხვა სახის სენსორული და ფიზიკური დეფიციტის მქონე პირები, თუკი აღნიშნული გავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე (შშმ პირი);
  - პირები, რომლებიც საჭიროებენ გრძელვადიან მკურნალობის/ჰოსპიტალიზაციას;
  - ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები;
  - სოციალურად დაუცველი პირები;
  - დასაქმებული პირი;
  - ჩვილბავშვიანი და/ან მრავალშვილიანი პირები;
  - სპორტსმენები;
  - განსხვავებული ოჯახური მდგომარეობის მქონე პირები;
  - საერთაშორისო მობილობის პროგრამაში ჩართული პირები;
  - მობილობით ჩარიცხული პირები;
  - სტუდენტის სტატუსის აღდგენილი პირები;
  - კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ ჩარიცხული პირები;
  - სხვა პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ზემოთჩამოთვლ კატეგორიებს და რომელთა მიმართ ფაკულტეტი გადაწყვეტს ინდივიდუალური გეგმით მუშაობის აუცილებლობას.
- 4.5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მოსარგებლე სტუდენტისთვის:
- შერჩეულ საგანში/საგნებში განისაზღვრება სწავლის შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც სააუდიტორიო, ისე საშინაო) აქტივობები;

- განისაზღვრება სსმ სტუდენტისთვის საჭირო დამატებითი და/ან ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების დრო, ადგილი და ხანგრძლივობა;
- განისაზღვრება დამატებით და/ან ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი;
- განისაზღვრება სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალა (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მასალა) და მასალის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი;
- განისაზღვრება საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსი (ავტობუსით მომსახურების საჭიროება, კომპიუტერით სარგებლობის აუცილებლობა, მისთვის საჭირო სასკოლო ავეჯის აუცილებლობა, დასვენების საჭიროება და სხვ.);
- სტუდენტს შეიძლება ჰქონდეს ინდივიდუალური სალექციო განრიგი.

### **მუხლი 5. შშმ სტუდენტთა მომსახურება**

- 5.1. სასწავლო უნივერსიტეტი, ინკლუზიური განათლების ფარგლებში, უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით და საჭიროების შესაბამისი ადაპტირებული გარემოთი შშმ სტუდენტებს;
- 5.2. გთუნი უზრუნველყოფს შენობაში (შენობებში) შემდეგი ინფრასტრუქტურის არსებობას:
  - უნივერსიტეტის შენობის (შენობების) შესასვლელში არსებობს შშმ ეტლით მოსარგებლე სტუდენტის გადაადგილებისათვის განკუთვნილი სპეციალური ასასვლელი;
  - უნივერსიტეტის აუდიტორიების შესასვლელი კარი მოწყობილია ისე, რომ სტუდენტმა დახმარების გარეშე შეძლოს ეტლით გადაადგილება;
  - უნივერსიტეტის შენობის პირველ და მეორე სართულებზე არსებობს სპეციალური ადაპტირებული სველი წერტილი;
  - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის შექმნილია ბიბლიოთეკით, კომპიუტერული კლასით, ლაბორატორიებით სარგებლობის საშუალება;
  - უნივერსიტეტის შენობაში (შენობებში) თვალსაჩინოდ გამოკრულია გადაადგილების აღმნიშვნელი ნიშნები (მაჩვენებლები), რომლის მიხედვითაც შშმ სტუდენტს შეეძლება დახმარების გარეშე დაადგინოს გადაადგილების მიმართულება.
- 5.3. უნივერსიტეტის დაცვის სამსახური ვალდებულია სტუდენტს აღმოუჩინოს ყველა სახის დახმარება, რაც უზრუნველყოფს მის შეუფერხებელ და კომფორტულ გადაადგილებას უნივერსიტეტის შენობაში.;
- 5.4. გთუნი-ს სტუდენტები ინფორმირებულნი იქნებიან, რომ თუ შშმ პირებს, მათთვის სპეციალურად მოწყობილი პანდუსებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის მიუხედავად, მაინც დასჭირდებათ დახმარება, დაუყოვნებლივ აცნობონ აღნიშნულის შესახებ დაცვის სამსახურის ნებისმიერ თანამშრომელს.

### **მუხლი 6. სტუდენტური ინიციატივები და პროექტები**

- 6.1. გთუნი ყოველმხრივ ახალისებს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი, სპორტული, საქველმოქმედო, საექსკურსიო-შემეცნებითი და საზოგადოებრივად სასარგებლო

სტუდენტური ინიციატივების განხორციელებას, რომელნიც შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის მიზნებსა და საქმიანობის სფეროს;

6.2. გთუნისთვის სტუდენტური ინიციატივების/პროექტების პრიორიტეტული მიმართულებებია:

- საგანმანათლებლო და სამეცნიერო აქტივობები;
- კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებები;
- სპორტული ღონისძიებები;
- შემეცნებითი ღონისძიებები;
- საქველმოქმედო ღონისძიებები;
- არაფორმალური განათლება.

6.3. ამ ინიციატივების განხორციელებისათვის საინიციატივო ჯგუფი/ ინიციატორი/ სტუდენტური თვითმმართველობა განცხადებით მიმართავს რექტორს;

6.4. რექტორის თანხმობის შემთხვევაში განისაზღვრება ფინანსური და/ან მატერიალურ -ტექნიკური მხარდაჭერის ფორმა, სახე და ზომა;

6.5. დაფინანსებული ღონისძიების განხორციელების შემდეგ წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

#### **მუხლი 7. ანსამბლის (ცეკვის, სიმღერის), შემოქმედებითი ჯგუფების და სპორტული გუნდების შექმნა**

7.1. გთუნის ანსამბლის (ცეკვის, სიმღერის), შემოქმედებითი ჯგუფების და სპორტული გუნდების შექმნისთვის მსურველები განცხადებით მიმართავენ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილებას;

7.2. ანსამბლის (ცეკვის, სიმღერის), შემოქმედებითი ჯგუფების და სპორტული გუნდების საქმიანობის წარმართვისათვის შეიძლება მოწვეულ იქნეს შესაბამისი კვალიფიკაციის პირი (მწვრთნელი, სცენარისტი, რეგენტი, რეჟისორი და სხვა);

7.3. მოწვეული პირების (მწვრთნელი, სცენარისტი, რეგენტი, რეჟისორი და სხვა) საქმიანობის ანაზღაურება ხდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, გთუნის ბიუჯეტიდან.

#### **მუხლი 8. სტუდენტთა არაფორმალური განათლება**

8.1. სტუდენტთა პროფესიული ზრდის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და განვითარების მიზნებისათვის გთუნში შექმნილია “ტრენინგისა და კონსალტინგის ცენტრი GT TCC”;

8.2. საზღვარგარეთიდან მოწვეული სპეციალისტების მიერ ტარდება მატერ-კლასები, ტრენინგები, ვორქშოპები;

8.3. ინფორმაცია მატერ-კლასების, ტრენინგების, ვორქშოპების თაობაზე ღია და საჯაროა, რომელზე დასწრება შეუძლია ნებისმიერ მოტივირებულ სტუდენტს (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ღონისძიებების სამუშაო ენა-ინგლისური და სტუდენტს მოეთხოვება ენის ცოდნა).

#### **მუხლი 9. ერთიანი სამაგისტრო გამოცდების მოსამზადებელი კურსი**

9.1. უნივერსიტეტი მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველ სტუდენტებს სთავაზობს საერთო სამაგისტრო გამოცდებისთვის მოსამზადებელ კურსს. მეცადინეობები ტარდება კვირაში 2-ჯერ 1,5 საათის ხანგრძლივობით, 3 თვის განმავლობაში. ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 10 მონაწილით. გთუნის სტუდენტებისათვის კურსი ფინანსდება სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.



### **მუხლი 10. ბიბლიოთეკით მომსახურება**

- 10.1. გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის ფუნქციონირებს მყუდრო, ნათელი, მოხერხებული, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი და საცავი, ბიბლიოთეკის ფონდის უმეტესი ნაწილი დაკომპლექტებულია უნივერსიტეტის პროფილის შესაბამისი სასწავლო სახელმძღვანელოებითა და სამეცნიერო ლიტერატურით, როგორც ქართულ, ასევე უცხო ენებზე;
- 10.2. ბიბლიოთეკაში დაცულია სამეცნიერო-სასწავლო ლიტერატურის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული ლექციების ელექტრონული (CD და DVD) ვერსიები.
- 10.3. ბიბლიოთეკაში არსებობს ორი სახის ანბანური და სისტემატური კატალოგი;
- 10.4. გთუნჩ ჩართულია EBSCO ბაზაში, რაც სტუდენტთათვის მოსწვდომს ხდის უახლეს წყაროებს;
- 10.5. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით.

### **მუხლი 11. კომპიუტერული ცენტრი**

უნივერსიტეტის სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკით და ინტერნეტით აღჭურვილ ლაბორატორიებში, სადაც თითოეულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, ინდივიდუალურად შეასრულოს პრაქტიკული დავალებები.

### **მუხლი 12. ტრანსპორტით მომსახურება**

- 12.1. გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტებს ემსახურება ტრანსპორტი (სამი ავტობუსი), რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა უფასო, დროულ, შეუფერხებელ და კომფორტულ გადაადგილებას;
- 12.2. ტრანსპორტი მოძრაობს „გადასასვლელი ხიდიდან“ (ც. დადიანის ქ. 39) უნივერსიტეტის მიმართულებით და პირიქით.

### **მუხლი 13. პირველადი სამედიცინო მომსახურება**

- 13.1. სასწავლო უნივერსიტეტში არსებული სამედიცინო სამსახური ზრუნავს თითოეული სტუდენტის ჯანმრთელობაზე. გამოცდილი ექიმი, ნებისმიერი გაუთვალისწინებელი შემთხვევის დროს, მზად არის, პირველადი დახმარება აღმოუჩინოს დაზარალებულს;
- 13.2. სამედიცინო კაბინეტი უზრუნველყოფილია პირველადი დახმარებისათვის საჭირო ყველა აუცილებელი მედიკამენტით.

### **მუხლი 14. უსაფრთხოების სამსახური**

- 14.1. სასწავლო უნივერსიტეტში ყველა პირობაა სტუდენტებისათვის უსაფრთხო გარემოს, შესაქმნელად;
- 14.2. გთუნი აღჭურვილია სათვალთვალო კამერებით და ოცდაოთხსაათიან რეჟიმში უზრუნველყოფს დაწესებულების შენობის დაცვას. ის ემსახურება უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას და საჭიროების შემთხვევაში დახმარებას გაუწევს შშმ/სსსმ პირებს;
- 14.3. უნივერსიტეტს აქვს შემოსაზღვრული ტერიტორია, ვრცელი და დაცული ავტოსადგომი, რომლითაც სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ სტუდენტს.

## მუხლი 15. სტუდენტური კაფეტერია

სასწავლო უნივერსიტეტში მთელი დღის მანძილზე ფუნქციონირებს სტუდენტური კაფეტერია, რომელიც ზრუნავს სტუდენტთა ჯანსაღ კვებაზე და რომლის ფასები სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია.

**მხარდაჭერის სერვისებით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა**

**ძვირფასო სტუდენტო!**


ჩვენთვის ძვირფასია თქვენი აზრი სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ მხარდაჭერის სერვისებთან დაკავშირებით, ამიტომ გთხოვთ შეავსოთ კითხვარი, რითიც დახმარებას გაგვიწევთ ამ სერვისების გაუმჯობესებისა და განვითარების საქმეში.

**მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის!**


1. რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვით სასწავლო უნივერსიტეტში?

ძალიან კმაყოფილი ვარ	კმაყოფილი ვარ	ნეიტრალური ვარ	უკმაყოფილო ვარ	ძალიან უკმაყოფილო ვარ

2. რამდენად უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობთ თავს სასწავლო უნივერსიტეტის შენობაში?

სრულიად უკმაყოფილო				სრულიად კმაყოფილი
1	2	3	4	5


3. რამდენად უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობთ თავს სასწავლო უნივერსიტეტის ეზოში?

სრულიად უკმაყოფილო				სრულიად კმაყოფილი
1	2	3	4	5


4. რამდენად იოლია თქვენთვის სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელებთან (რექტორი, რექტორის მოადგილე, ფაკულტეტის დეკანი) შეხვედრა?

ძალიან იოლია	იოლია	ნეიტრალური ვარ	რთულია	ძალიან რთულია

5. რამდენად იოლია თქვენთვის პროფესორ-მასწავლებლებთან არასააუდიტორიო საქმიანი კომუნიკაცია?

სრულიად უკმაყოფილო				სრულიად კმაყოფილი
1	2	3	4	5

6. რამდენად გულისხმიერად ეკიდებიან თქვენ სასწავლო-საგანმანათლებლო პრობლემებს გთუნის ხელმძღვანელები და გეხმარებიან თუ არა მათ გადაჭრაში?

სრულიად უკმაყოფილო				სრულიად კმაყოფილი
1	2	3	4	5

7. შეაფასეთ 1-იდან 5 ქულით რამდენად კმაყოფილი ხართ: (5=ძალიან კმაყოფილი, 1=ძალიან უკმაყოფილო)

კითხვა	5	4	3	2	1
უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისაგან თქვენი ინიციატივების მხარდაჭერით?					

8. იღებთ თუ არა ინფორმაციას საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე სხვადასხვა კონკურსის, პროექტის, პროგრამების შესახებ?

- კი
- არა
- გარკვეული პერიოდულობით
- იშვიათად
- მიჭირს პასუხი

9. თუ თქვენი პასუხია „არა“ გთხოვთ აღნიშნოთ (✓) ქვემოთ ჩამოვლილთაგან რა არის ამის მიზეზი?

პასუხი	✓
ინფორმაცია არ არის განთავსებული ვებგვერდზე	
ინფორმაცია არ არის განთავსებული საინფორმაციო დაფაზე	
არავის მოუწვდია ინფორმაცია	
არ ვამოწმებ ვებგვერდის ინფორმაციას	
არ ვკითხულობ განცხადებებს საინფორმაციო დაფაზე	
მიჭირს პასუხი	

10. რამდენად ხართ ინფორმირებული უნივერსიტეტში დაგეგმილი სტუდენტური ღონისძიებების შესახებ?

- ყოველთვის ინფორმირებული ვარ
- იშვიათად ვარ ინფორმირებული
- საერთოდ არ ვარ ინფორმირებული
- მიჭირს პასუხი

11. ახორციელებს თუ არა გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი დასაქმების ხელშემწყობ ღონისძიებებს ?

პასუხი	კი	არა
პროგრამა, რომელზედაც ვსწავლობ, მაძლევს პროფესიული პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას		
უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები/ ხელშეკრულებები დამსაქმებლებთან		
გვაქვს შეხვედრები დამსაქმებლებთან, ტარდება საჯარო ლექციები		
ვმონაწილეობთ დასაქმების ფორუმებში		
ვესწრებით პროფესიულ გამოფენებს		
გთუნი გვაწვდის ინფორმაციას სტაჟირების პროგრამების შესახებ		
გთუნი გვაწვდის ინფორმაციას გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ		

სხვა (გთხოვთ ჩაწეროთ)		
-----------------------	--	--

(შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)

12. როგორია თქვენი აზრი პროფესორ-მასწავლებლებთან, აკადემიურ კონსულტანტებთან კონსულტაციების შესახებ?

N	ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	არ ვეთანხმები
კონსულტაციებისთვის მივმართავ ჩემი ინიციატივით და ყოველთვის ვიღებ სასარგებლო რეკომენდაციებს			
კონსულტაციები ტარდება პროფესორ-მასწავლებლების, აკადემიურ კონსულტანტების ინიციატივით და ყოველთვის კმაყოფილი ვარ			
კონსულტაციები ტარდება პროფესორ-მასწავლებლების, აკადემიურ კონსულტანტების ინიციატივით და არ არის ჩემთვის სასარგებლო			
კონსულტაციების რაოდენობა არასაკმარისია			
კონსულტაციებისათვის შერჩეული დრო ჩემთვის მისაღები არ არის			
კონსულტაციების ადგილი ყოველთვის გარკვეული და მოსახერხებელია			
კონსულტაციებით არასოდეს მისარგებლია			

13. გთხოვთ შეაფასოთ სტუდენტური სერვისები 0-იდან 5 ქულით ( 5=ძალიან კმაყოფილი , 1=ძალიან უკმაყოფილო, 0- არ ვიცი)

სერვისები	5	4	3	2	1	0
სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სისტემა						
<b>ბიბლიოთეკა</b>						
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის პერსონალის მომსახურების ხარისხი და კვალიფიკაცია						
სტუდენტზე მორგებული სამკითხველო დარბაზი						
სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურის ხელმისაწვდომობა						
<b>სტუდენტური აქტივობა (საგანმანათლებლო)</b>						

სტუდენტური კონფერენციების ორგანიზების დონე						
სტუდენტური კონკურსების ორგანიზების დონე						
სტუდენტური ოლიმპიადების ორგანიზების დონე						
გასვლითი ლექცია-სემინარების ორგანიზება						
უცხოელი ლექტორების მიერ ჩატარებული მასტერ-კლასები, ტრენინგები						
ერთიანი სამაგისტრო გამოცდებისთვის მოსამზადებელი (უფასო) კურსები						
<b>მატერიალური რესურსები და ტექნიკური აღჭურვილობა</b>						
კომპიუტერული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა						
ინტერნეტის მომსახურების დონე						
ქსეროქსის მომსახურება						
ავტობუსებით (უფასო) მომსახურება						
სამედიცინო მომსახურება						
კაფეტერია						
ავტოსადგომი						
ეზო, დასასვენებელი სივრცეები ეზოში						
სტადიონი						
სისუფთავე შენობაში/აუდიტორიებში						
ტემპერატურა აუდიტორიებში						
განათება აუდიტორიაში						
* ადაპტირებული გარემო შშმ პირთათვის (შეავსეთ იმ შემთხვევაში თუ სარგებლობთ ამ სერვისით)						
<b>სტუდენტური ცხოვრება</b>						
შეხვედრები პროფესიონალებთან (სასწავლო ფორმატი)						
ინტელექტუალური, შემეცნებითი თამაშები						

სპორტული ღონისძიებები						
შემოქმედებითი საღამოები						
ექსკურსიები						
სხვადასხვა რესპუბლიკურ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა						
უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმართველობის აქტივობები						

**14.** სარგებლობთ თუ არა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით და კმაყოფილი ხართ თუ არა მისი განხორციელებით?

- ვსარგებლობ და კმაყოფილი ვარ;
- ვსარგებლობ და არ ვარ კმაყოფილი;
- არ ვსარგებლობ.

**15.** რის გაუმჯობესებას გვირჩევდით?

-----

-----

-----

**გმადლობთ!**